# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ო ქ მ ი N 10

**სხდომის ჩატარების დრო:**

**31 აგვისტო, 2022 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

ქალაქი ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა N59
აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენობის მე-2 სართულზე არსებული სამკითხველო დარბაზი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეათე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.**

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, კ.გურული, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, რ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

**სულ: 35 წევრიდან 30 წევრი**

**არ ესწრებოდნენ** საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე.

**სულ: 5 წევრი.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი გ.ლელაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ფ.ხაჭაპურიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ვ.სილაგაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტი, ბატონი თ.ბარათაშვილი.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ. მან აქვე აღნიშნა:** „პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პირადად რექტორს, ბატონ როლანდ კოპალიანს. დღეს მოგვეცა საშუალება, რომ აკადემიურ სივრცეში წარვმართოთ საკრებულოს სხდომა. ინფრასტრუქტურის მოშლის, კონკრეტულად ხანძრის გამო,

რომელიც მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, ჩვენ მოგვიწია გასვლითი სხდომის ჩატარება, რისი საშუალებაც მოგვცა უნივერსიტეტმა. ჩვენ უნივერსიტეტთან გვაქვს გაფორმებული მემორანდუმი და ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა მართლაც  სამაგალითოა. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო სექტორში სტაჟირების ფორმატში. ჩვენ მაქსიმალურად მივცემთ ახალგაზრდებს საშუალებას საჯარო სექტორში მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. ასევე, მინდა შევეხო მეორე საკითხს. რეორგანიზაციის შედეგად ჩვენ მერიაში გვყავს ორი ახალი სამსახურის ხელმძღვანელი, მათ შორისაა გაფართოებული, საკმაოდ მძლავრი ინფრასტრუქტურული სამსახური, რომლის ხელმძღვანელია ბატონი ანტონ ჩიხლაძე. მინდა მას ვუსურვო წარმატებები, გამოვხატავთ მზაობას და მაქსიმალურად იქნება თანამშრომლობა ჩვენსა და კონკრეტულად ამ სამსახურს შორის. მინდა დარგობრივ კომისიებს ვთხოვო, რომ მაქსიმალურად ეფექტურები ვიყოთ კომუნიკაციაში, იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურული საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის. იცით, რომ საბინაო ინფრასტრუქტურის ნაწილი მიუერთდა კეთილმოწყობის სამსახურს და შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ საბინაო პროგრამების მხრივ კიდევ უფრო გაიზარდოს ეფექტურობა და სამსახურის ამ გამსხვილებამ არ გამოიწვიოს კონკრეტული მიმართულებების შესუსტება. გთხოვთ, დეპუტატებს და მათ შორის, ოპოზიციურ ნაწილს, მაქსიმალურად ვიყოთ აქტიურები ამ მიმართულებით, რომ მეტი შედეგი დავინახოთ. საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარება ჩვენი პრიორიტეტია, რომელიც 2022 წელს დავისახეთ.

ასევე, მინდა გამოვეხმაურო კონკრეტულ ფაქტს, რომლითაც დღეს მედია დაინტერესდა. მესმის, რომ საზოგადოების ინტერესიც საკმაოდ მაღალია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ჩვენს ოკუპანტ სახელმწიფოს, რუსეთის ფედერაციას. არასასიამოვნო ფაქტია, როდესაც ჩვენი ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის დროშას ვხედავთ საზოგადოებრივ სივრცეში და ამას აკეთებს პირი სრულიად ღიად და თავისუფლად. ვფიქრობ, რომ ამას უნდა მოჰყვეს ერთის მხრივ, საზოგადოების რეაქცია და მეორეს მხრივ, თუ ადმინისტრაციული გადაცდომაა, შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ ამ საკითხით, რათა მსგავსი სიმბოლიკები არ გაჩნდეს საზოგადოებრივ

სივრცეში. ჩვენი დამოკიდებულება არის მგრძნობიარე ამ თემასთან დაკავშირებით. თუ აქ არის კანონის დარღვევა, რა თქმა უნდა, დაინტერესდება შესაბამისი სტრუქტურა, მათ შორის, მუნიციპალური ზედამხედველობის ორგანო. დანარჩენი ნამდვილად არის პოლიტიკური შეფასების საგანი და პირადად ჩემთვის ნამდვილად არ არის სასიამოვნო, რომ ასეთი ტიპის ქმედება განახორციელოს კონკრეტულმა ჯგუფმა თუ ინდივიდუალურმა პირმა. ეს არის დამატებითი იურიდიული საკითხი თუ რამდენად არის ეს ქმედება კანონდარღვევა და უკავშირდება სამართალდარღვევათა წესს. ორი კანონი მოქმედებს ამ მიმართულებით. ერთია საოკუპაციო და მეორე - საბჭოთა სიმბოლიკების გამოყენება, რაც ღიად და ნათლად ასახავს რა შემთხვევაში შეიძლება დაერქვას სისხლის სამართლის თუ ადმინისტრაციული სამართლის პასუხისმგებლობა. სუბიექტური ვიქნები ამ შემთხვევაში და ვიტყვი, რომ ჩემთვის მიუღებელია საზოგადოებრივ სივრცეში ისეთი სიმბოლიკების გაჩენა, რომელიც უკავშირდება ოკუპანტ სახელმწიფოს. ეს იქნება ჩემი მოკლე კომენტარი და დანარჩენზე ალბათ, საზოგადოება უფრო ბევრს იმსჯელებს და მოქალაქეები თავიანთ აზრს დააფიქსირებენ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით ყველას. რამდენიმე დღის წინ იყო საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დღეს სხდომაზე აპირებდა რამდენიმე ინიციატივით შემოსვლას, მაგრამ გუშინ მომხდარი ფაქტიდან გამომდინარე, შინაარს ვერ ვხედავ, დავაყენოთ რაიმე ინიციატივა. გუშინდელი ფაქტი, ქალაქ ქუთაისის ცენტრში რუსეთის დროშის აღმართვა, ჩვენთვის არის მიუღებელი და კითხვის ნიშნები გვიჩნდება იმასთან დაკავშირებით, ხდება თუ არა ეს მიზანმიმართულად. ქალაქის მერის პირდაპირი დავალებით, ანტისაოკუპაციო სტიკერების გაკვრიდან რამდენიმე წუთში ზედამხედველობის სამსახურმა მოახდინა რეაგირება და ეს ადამიანები დააჯარიმა. მსგავს ქმედებას ვერ ვხედავ ვერც მე და ვერც ჩემი ფრაქციის წარმომადგენლები, ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს არის მიზანმიმართული ქმედება. ბატონო სოსო, მოგმართავთ, როგორც იმოქმედეთ არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ანტისაოკუპაციო სტიკერების

გაკვრასთან დაკავშირებით, ასევე, ამ შემთხვევაშიც იმოქმედოთ კანონის შესაბამისად. მინდა შეგახსენოთ, რომ ეს საქართველოა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „დიახ, რუსეთი ოკუპანტია და დამერწმუნეთ, არავის გვსიამოვნებს მსგავსი ქმედება. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მოახდინა რეაგირება და თქვენ ეს შეგიძლიათ ნახოთ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ გვერდზე. ამ ფაქტს მაშინვე მოჰყვა რეაგირება, ჩვენ მოვახდინეთ მათი იდენტიფიცირება და დღეს უკვე დაჯარიმებულია ის ადამიანი, ვინც აღმართა რუსეთის დროშა. ჩვენთვის, ჩვენი გუნდისათვის, მიუღებელია რუსული სიმბოლიკები და ჩვენ ამაზე რეაგირებას ვახდენთ. რაც შეეხება წინა შემთხვევას, რა შინაარსისაც არ უნდა ყოფილიყო თეთრ ხიდზე გაკრული ინფორმაცია, ნებისმიერი პირი იქნებოდა დაჯარიმებული, ვინაიდან, თეთრი ხიდი არის ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი.“

სამოქალაქო აქტივისტი, ბატონი **თ.ბარათაშვილი**: „ჩვენ შეგვიძლია ახლა წავიდეთ თეთრ ხიდზე და ვნახოთ ვანდალიზმის ფაქტები, რაც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტებს და ერთი პრეცენდენტი მაინც თუ არსებობს დაჯარიმების?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „სწორად ახსენეთ ბატონო სოსო, თეთრი ხიდი. სტიკერის გაკვრაში დარღვევა  თუ ნახეთ, ხიდის რეაბილიტაციაში დარღვევა ვერ ნახეთ, რომ გემოქმედათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „კანონი დაარღვიეთ და სასჯელიც მიიღეთ.“

სამოქალაქო აქტივისტი, ბატონი **თ.ბარათაშვილი**: „სირცხვილია და იმედია, ამ დარბაზში სხვებსაც გაქვთ საკრებულოს თავმჯდომარის მსგავსი პოზიცია, რომელიც მან დააფიქსირა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილა:** „ჩვენ მაშინვე მოვახდინეთ იდენტიფიცირება და დამნაშავე დაჯარიმდა. თუკი თეთრ ხიდზე

დააფიქსირებთ მსგავს ფაქტს, თქვენი თანდასწრებით დავაჯარიმებთ. ამ ქალაქში კანონს ვერ დაარღვევს ვერავინ. ეს არის ჩვენი გუნდის მიზანი.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „საზოგადოებას არ სურს მსგავსი პროცესების ხილვა, მით უმეტეს, საკრებულოს სხდომებიდან. პატივი უნდა ვცეთ ამ ინსტიტუციას და შესაბამისად, რეგლამენტირებულად მოვახდინოთ გამოსვლა. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მოვიდეს საკრებულოს სხდომაზე, დააფიქსიროს საკუთარი აზრი და გთხოვთ მსგავსი გამოსვლებისგან შევიკავოთ თავი. თუ კანონდარღვევაზეა საუბარი, ორივე შემთხვევაში კანონი უნდა იქნეს ადმინისტრირებული. ვინმე დგას განსხვავებულ პოზიციაზე, რომ რუსეთი არ არის ოკუპანტი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ქმედებაზე და მყისიერ რეაგირებაზეა საუბარი. დაახლოებით, 40 წუთის წინ დარეკეს ცხელ ხაზზე და იქ უპასუხეს, რომ თქვენ გულსაწყვეტ ინფორმაციასთან დაკავშირებით მოგვმართეთ წერილობითო. ამის გადამოწმება შეგიძლიათ მარტივად.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „კონკრეტულად ვერ ვისაუბრებ. საუბარი თუა დანაშაულზე და ადმინისტრირებაზე, ამ შემთხვევაში მერია და მერიის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ვერ იქნება მიკერძოებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „როდის იქნება, როცა ანექსიას გამოგვიცხადებენ? თუ არ რცხვენია ახლა იმ ადამიანებს, რომლებსაც შინაარსობრივად რუსეთთან მიმართებაში წრფელი გრძნობები აქვთ. დარწმუნებული ვარ ბატონო ირაკლი, თქვენს გუნდში ბევრს უნდა შინაგანად რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეს არ უნდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „კანონით დადგენილია რეაგირების სხვადასხვა ვადები. მე როგორც ვიცი, ვადები არ არის დარღვეული. თავი შეიკავეთ პოპულიზმისა და შეურაცხყოფებისაგან. მე, პირადად, შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს. ფაქტზე რეაგირება თუ არ მოხდება კანონით დადგენილ ვადებში, დაგვაბრალეთ რაც გინდათ. სხვა შემთხვევაში, ამის არანაირი სამართლებრივი და მორალური საფუძველი არ არსებობს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მორალური საფუძველი მოდის თქვენი პარტიის საქციელებიდან და არა მხოლოდ დღევანდელი საქციელი. მორალურად ჩვენც გვაქვს უფლება იმისა, რომ ეს ყველაფერი დღეს ვთქვათ. მე მჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსეთთანაა და უბედურება ისაა, რომ თქვენ მისი გჯერათ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თ.ჯუღელი:** „დღეს რაც განახორციელეთ, ეს იყო მოსახლეობის ემოციებზე ზემოქმედება არასწორი ნაბიჯებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენს ხელისუფლებას, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წინ ჩამოხეულ ევროკავშირის დროშაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. უკვე ყველანაირი ვადებია დარღვეული. არის ვინმე ამ ფაქტზე დასჯილი? რა გარანტია არსებობს იმისა, რომ ერთ დროს იქ, სადაც ევრო კავშირის დროშა ჩამოხიეს, რუსეთის დროშა რომ აღმართონ, იგივე რეაგირება არ მოჰყვება. მინდა ბატონ სოსოს ვკითხო, შესაბამისმა სტრუქტურამ კონკრეტულად რა რეაგირება მოახდინა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „დაჯარიმდა 500 ლარით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანტიოკუპაციური სტიკერების გაკვრისათვის 1000 ლარიანი ჯარიმა რომ ამოუწერეს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „თეთრი ხიდი არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და კანონით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაზიანება ითვალისწინებს 1000 ლარიან ჯარიმას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს არის ორმაგი სტანდარტი. 500 ლარით დაჯარიმდა საზოგადოებრივ ადგილზე რუსული დროშის აღმმართველი და 1000 ლარით ანტიოკუპაციური სტიკერის გამკვრელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „რას გავს თქვენი საქციელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თქვენ არ იყავით ნაციონალური მოძრაობის მიკრო კოორდინატორი 2012 წლამდე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „არასდროს არ ვყოფივარ. დამისახელეთ ერთი პარტია მაინც, რომლის წევრიც აქამდე ვიყავი. დამიმტკიცეთ, რომ ვიყავი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიკრო კოორდინატორი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „გადახედეთ სიებს, რამდენი ახლა ხელისუფლებაში მყოფი იყავით და რამდენის ოჯახის წევრი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიკრო კოორდინატორი.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე**: „ასევე რამდენი იყავით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველი. ყველაზე არ მაქვს საუბარი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.შალამბერიძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არის თუ არა მართებული ერთ ჭრილში დაყენება ერთის მხრივ, ანტისაოკუპაციო სტიკერის გამკვრელის და მეორეს მხრივ, იმ ადამიანის, რომელიც ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ახდენს სიმბოლიკის პროპაგანდირებას. ბატონო სოსო, რატომ მოხდა ამ თემის პირველად საკრებულოს სხდომაზე გაჟღერება და რატომ არ მოახდინეთ მყისიერი რეაგირება, როგორც ქალაქის მერმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არ დაგმეთ ეს საკითხი და მოსახლეობას არ მიაწოდეთ ინფორმაცია მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, მით უმეტეს, ბრძანეთ, რომ რეაგირება მომხდარია და ეს ადამიანი დაჯარიმებულია. ასევე, მაინტერესებს მიმართეთ თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. კერძოდ, ანტისაოკუპაციო კანონის დარღვევა, მტრის სიმბოლიკისა და მათი იდეოლოგიის  პროპაგანდირება. ვიცი, რომ შესაბამისი განცხადება არ გაგიკეთებიათ და მაინტერესებს თქვენი კონკრეტული პასუხი. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს პროტესტის გამოხატვის უფლება თუკი ეს ჯდება კანონის ფარგლებში. შეიძლება თუ არა ამისთვის დავაჯარიმოთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ამ კითხვას ნაწილობრივ გაეცა პასუხი. ადმინისტრირება ამ საკითხის მოხდა და შესაბამისი ორგანოს მიერ გამოიცა დაჯარიმების  აქტი. ქალაქის მერმა განმარტა, რომ ერთ შემთხვევაში იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, სადაც კანონი ითვალისწინებს სხვა მიდგომას, ვინაიდან არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი იქ სტიკერის გაკვრა ჯარიმდება სხვა მუხლით და მეორე შემთხვევაში სხვა მუხლით. ორმაგი სტანდარტი ვერ იქნება, კანონი განმარტავს თვისობრივად კონკრეტულ შემთხვევაში რა მიდგომა უნდა არსებობდეს. კანონის იქეთ ადმინისტრაციულ ორგანოს სხვა პასუხისმგებლობა და ვალდებულება არ ჰქონდა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ლ.შალამბერიძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ეს ხომ არ იყო რომელიმე დაწესებულების, კერძო ფირმის რეკლამა. ეს იყო ანტისაოკუპაციო სტიკერი, რომელიც

იყო ჩვენი ქვეყნის ოკუპანტის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, პროტესტის ფორმა. ვფიქრობ, რომ ქალაქის მესვეურნი ამ დროს უნდა იდგნენ ასეთი ხალხის გვერდით და მათთან ერთად აპროტესტებდნენ, რასაც სამწუხაროდ მე ვერ ვხედავ.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ჩვენ რამდენადაც არ უნდა ვეთანხმებოდეთ ამ შინაარსს, სამართალი და ადმინისტრირება არის სხვა პროცესი. არ ვგულისხმობ ტელევიზიებს, მათ მესვეურებსა და ბევრი ოფისები რომ გაიხსნა რეგიონებში. არ მეგულება ადამიანი, რომელიც ანტისაოკუპაციო განწყობას არ აფიქსირებდეს, მათ შორის, ღია ფორმით. ანტისაოკუპაციო შინაარსის სტიკერის გაკვრის შემთხვევაში იმუშავა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა. ხომ შეიძლება მარტივად მივუდგეთ ამ საკითხს. ისევე, როგორც დროშის გამოფენის შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. განვმარტე და დავანებოთ თავი პარტიულ პოლემიკას. ძალიან ბევრი გვაქვს სასაუბრო 2008 წელზე, რეზოლუციაზე, თქვენი პარტიიდან კონკრეტული პირების კავშირებზე რუსეთთან, ბიზნესებზე, მაგრამ არ ვცდებით ფორმატებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „საქართველოსა და მის ღირსებაზეა საუბარი. ეს არ არის პარტიულ ჭრილში წამოჭრილი საკითხები. ეს პირველად არ მომხდარა. მსგავსი ფაქტები გვქონდა ურეკში, ბათუმში, თბილისში. ეს მასობრივად ხდება. საუბარი იმაზე კი არ არის, რომ ვიღაცამ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე გააკრა სტიკერი, საუბარია ღირსებაზე და ამაზე დაფიქრდით. თქვენ მეუბნებით ბატონო სოსო, რომ გიორგი ანწუხელიძის ქვეყანაში რუსული დროშის აღმმართველის 500 ლარით დაჯარიმება საკმარისია? იმოქმედეთ ანტისაოკუპაციო კანონის მიხედვით და მიეცით მსვლელობა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „როდესაც პარლამენტის შენობის წინ ჩამოხსნეს ევროკავშირის დროშა და ვანდალურად მოექცნენ, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე მივიდა და თავისი

ხელით აღმართა, აი, ეს არის ღირსება. მე არ ვიცი რა სამართლებრივი შედეგი დადგა, ერთად მოვიკითხოთ, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ ღირსებაზე და უმაღლესმა პოლიტიკურმა თანამდებობის პირმა პირადად აღმართა დროშა და დამერწმუნეთ, ასე იქნება სულ და ამას წინ ვერავინ აღუდგება, იმიტომ, რომ ეს არის საზოგადოების გადაწყვეტილება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „რუსული პროპაგანდისტული არხები სწორედ ასეთ ფაქტებს იყენებენ იმის წარმოსაჩენად, რომ საქართველოში დღეს არის პრორუსული ხელისუფლება."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ვერ მოესწრება ის მედია საშუალება, რომ საქართველოში ოდესმე იქნება პრორუსული ხელისუფლება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „პიროვნული შეურაცხყოფა არის ამ პარტიის დამახასიათებელი. დააბრალებენ და შემდეგ ამტკიცე სიმართლე. ადამიანების ის ნაწილი, რომლებმაც 2008 წელს გაყიდეს საქართველო და ჩააბარეს რუსეთს, დღეს გვეუბნება, რომ ჩვენ არ ვწუხვართ და არ ვახდენთ რეაგირებას. ძალიანაც ვწუხვართ იმ პროვოკაციული ქმედებების გამო. თქვენი პარტია საუბრობს ღირსებაზე? მაგ პარტიაში ღირსეული ადამიანი არ გაჩერდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „თქვენი პარტიაა ღირსეული, რომ დამიჭირეთ და ორი წელი გავატარე ციხეში? ბატონ დიმიტრის მინდა ვკითხო 2017 წელს რა თანამდებობა ეკავა პარლამენტში. თქვენ იყავით ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში. მე რომ ვიყავი დაჭერილი 2017 წელში, რატომ არ გააკეთეთ რაიმე განცხადება? ვიყავი დაჭერის ღირსი? მე სწორედ თქვენგან არ მოველოდი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლანძღვას, რომ სხდომის დატოვება არის ჩვენი სახე. იქნებ, ბატონმა ბექა ქებულაძემაც უარყოს, რომ იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „პარტიას შემომწირველები იმიტომ ჰყავდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიზნესებს ართმევდით ადამიანებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. ევროპისკენ გვაქვს გეზი და მივესალმებით ევრო ინტეგრაციასო. ქალაქ ქუთაისში ევროპასთან ინტეგრაციის საინფორმაციო ფლაიერების დარიგების დროს მოაგზავნეთ თუ არა ააიპ-ებში და სსიპ-ებში დასაქმებული პირები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ევროპა ცუდია არ გვინდაო. იყო თუ არა ასეთი ფაქტი და დაისაჯა თუ არა რომელიმე მათგანი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დ.მხეიძე:** „პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს მაშველებს, მეხანძრეებს, რომლებიც ებრძვიან ამხელა კატასტროფას. შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, რომლებიც ჩართული არიან ამ სამაშველო ოპერაციაში. ჩვენ ნამდვილად არაფერი გვაქვს ანტისაოკუპაციო სტიკერების საწინააღმდეგო, მაგრამ, როდესაც ადამიანმა იცის, რომ ის არღვევს კანონს და იცის, რომ იმ ადგილზე სტიკერის გაკვრა არის კანონდარღვევა და ამას აკეთებს მიზანმიმართულად, ვთვლი, რომ ეს უფრო გავს პროვოკაციას. პროტესტი შეიძლება გამოხატო მანქანებზე სტიკერების გაკვრით, დროშებით, რაზეც არავინ არ ქმნის პრობლემას. ბატონო კახა, მე იმ პერიოდში არ ვიყავი ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში, ბოლოს გადმოვედი, მაგრამ ამას არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. რა განცხადებებიც შემოდიოდა, მე ყველაზე ვაფიქსირებდი აზრს და ვაკეთებდი განცხადებებსაც. თქვენი საქმე არ შემხვედრია და არ მოგიმართავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც იქნებოდა სწორი, იმას გავაკეთებდი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გურული** (პოლიტიკური პარტია „მესამე ძალა“) „დღესდღეობით, ქუთაისში  რეგისტრირებულია უკრაინიდან დევნილი 157 პირი. თუ არის საშუალება, რომ მათ გადავცეთ მუნიციპალურ

ტრანსპორტში უფასო მგზავრობის ბარათები. მეორე საკითხია ქუთაისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლესთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. განიხილება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია იუსტიციის სახლის მხრიდან. როგორც მოგეხსენებათ, მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი არ არის ჩვეულებრივი ნაგებობა. იქ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბევრი რამ. ჩვენ კონსულტაციებს გავდივართ თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სასახლესთან და ვითვალისწინებთ ბევრ დეტალს. არ არის მარტივად მოსამზადებელი პროექტი. მაგალითად, ხატვის წრისთვის მნიშვნელოვანია საიდან შემოვა დარბაზში შუქი. წელს არა და გაისად, პროექტი უკვე მზად იქნება. რაც შეხება უფასო მგზავრობას, ჩვენ ეს ბარათები გვაჩუქა თიბისი ბანკმა. თქვენ ალბათ, გულისხმობთ ამ ბარათებზე სამგზავრო თანხის დარიცხვას. ეს უნდა გავიაროთ იურისტებთან და საკრებულო თუ მიიღებს გადაწყვეტილებას მოხდება თანხების დამატება. შეიძლება უკრაინიდან დევნილები ჩაემატოს და მათთვისაც გამოიყოს სამგზავრო თანხები. პრობლემას ვერ ვხედავ“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი**: „რამდენიმე ხნის წინ, როდესაც ჩვენ, საკრებულოს წევრები, პარლამენტის წევრთან ერთად ვარიგებდით უწყინარ ფლაერებს, ნიკეას ქუჩის ტერიტორიაზე სამუშაო საათების დროს, ჩვენ ამაში ხელს გვიშლიდნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები. თქვენ მაშინ თქვით, რომ მოიკვლევდით ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ალბათ, ჩემი განცხადება ეხებოდა კონკრეტული სამსახურის პირების მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში. მე მაშინაც კონკრეტულად ვთქვი, რომ ადმინისტრაციული ორგანო ამით უნდა დაინტერესებულიყო და შესაბამისი განცხადებები გაეკეთებინა, თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი. მეორე საკითხი რაზეც თქვენ შეიძლება პასუხი მიიღოთ, არის „სადეპუტატო შეკითხვა“. უკვე

იდენტიფიცირებული გყავთ და გარკვეული ინფორმაცია მოძიებული გაქვთ. შეგიძლიათ მიმართოთ კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს თუ რა რეაგირება მოხდა ამასთან დაკავშირებით და იყო თუ არა საჯარო მოხელე და მონაწილეობდა თუ არა მსგავს ქმედებაში. როგორც მახსოვს, მე მოვუწოდე შესაბამის სამსახურებს, რომ დაინტერესებულიყვნენ ამ ფაქტით და მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, რომ თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ნამდვილად უნდა დაინტერესდნენ და მოახდინონ რეაგირება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „კონკრეტული პიროვნებები არიან იდენტიფიცირებულები, არანაირი პრობლემა არაა. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ლოდინის რეჟიმი."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მართალია, საკრებულოს სხდომათა დარბაზში მიჩვეულები ვართ, მაგრამ ახლა დავასრულოთ პოლემიკა და გადავიდეთ დღის წესრიგზე. კარგი იქნებოდა უფრო განსხვავებული დამოკიდებულება გვეჩვენებინა საზოგადოებისათვის და მეტი პასუხისმგებლობით მოვკიდებოდით აკადემიურ სივრცეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"): „ხომ შეიძლება საბოლოოდ დააზუსტოთ, ბატონი გია ბასილაძე იყო თუ არა თქვენი პარტიის კოორდინატორი. ხომ არ შეიძლება ეს იძახოთ გამუდმებით. თუ იყო გვითხარით და გვეცოდინება, რომ რაღაც დროით თქვენ გიჭერდათ მხარს, მაგრამ არ მეგონა თუ თქვენ კოორდინატორობას ასე სამარცხვინოდ მიიჩნევდით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ქალბატონო მაია, სამარცხვინო კოორდინატორობა არ არის. მე არ ვიცი და არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. სამარცხვინოა, როდესაც უტევ იმ პარტიას, რომლის კოორდინატორიც იყავი თუნდაც თეორიულად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე:** „ანუ, სირცხვილი ყოფილა თუ თქვენ გიჭერდათ მხარს და ახლა არ გიჭერს მხარს. მე არ ვიცი როგორი იყო ბატონი გიას პოლიტიკური გემოვნება წლების მიხედვით, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ წარსულს, ვნახავთ, რომ სერიოზული ცვლილებები ხდებოდა. თუნდაც თქვენი მთავარი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი იყო იმ პარტიისა და ფრაქციის ხელმძღვანელი, რომელსაც მერე მიწაში დებდა და რომლის დამხობაშიც მთავარი წვლილი შეიტანა. შეიძლება ადამიანს შეეცვალოს შეხედულება, არ გამოვრიცხავ, თქვენც ოდესმე შეიცვალოთ აზრი და გამოხვიდეთ მაგ პარტიიდან. ეს არ არის უბედურება და ეს წესი პოლიტიკაში არის ანაბანა. ამის გამო, ერთმანეთს შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ. რაც შეეხება შემომწირველობას. მე მაშინ საწარმოს ხელმძღვანელი გახლდით და თავისუფლად შეიძლებოდა ვყოფილიყავი ამ სიაში, მაგრამ არ ვიყავი. თქვენი პარტიის წევრებთან ვთანამშრომლობდი. ერთად ვიყავით პარლამენტში და ვმეგობრობ დღემდე. ეს მეგობრობა არ იცვლება პარტიული კუთვნილებით. მეც შემომთავაზეს, რომ ვყოფილიყავი კარგად, ამისთვის გამეკეთებინა შემოწირულობა, მაგრამ ვერ გავაკეთე, იმიტომ, რომ არ მქონდა ამის შესაძლებლობა ფინანსურად, ვინაიდან, ჩემი საწარმოს დირექტორი დაპატიმრებული იყო და საწარმო დაჯარიმებული იყო საკმაოდ დიდი თანხით. თუმცა, რომ გამეკეთებინა, დღეს არ ვიფიქრებდი, რომ სასწაული გავაკეთე. შეიძლება რიგითი საკითხები უკეთესად წასულიყო. ალბათ, მეც რომ დამმუქრებოდნენ, გავყიდდი სახლს  და გავაკეთებდი შემოწირულობას.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „შინაარსობრივ დეტალებში შევდივართ და ეს სასიამოვნო არ არის. თქვენს პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოებამ არაერთხელ, არჩევნებზე დააფიქსირა თავისი შეხედულება. კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ამ სივრცეს ვცეთ პატივი და კორექტულად ვისაუბროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „მინდა ვიყო მშვიდი და იმედია, მომცემთ ამის საშუალებას. მინდა ვთქვა სიმართლე. აქ არიან საკრებულოს წევრები, რომლებმაც იციან

ჩემი ისტორია, მაგრამ არის ხალხი, რომლისთვისაც ეს უცნობია. მე, გია ბასილაძე დავიბადე საბჭოთა კავშირში, აქედან გმომდინარე, ვიყავი კომკავშირის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ვიყავი წარმატებული სტუდენტი, არ ვიყავი კომუნისტური პარტიის წევრიც კი. მას შემდეგ არჩევნებზე ზვიად გამსახურდიას დროს, ხმა ზვიად გამსახურდიას მივეცი. შემდეგ არჩევნებზე არ ვყოფილვარ მიხეილ სააკაშვილის მოსვლამდე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა 2004 წელს და რაც შეეხება კოორდინატორობას, 2004-2008 წლებში საერთოდ არ ვყოფილვარ საქართველოში. ამიტომ, მოძებნეთ ისეთი ადამიანი, რომელიც მართლა იყო და შემდეგ შეიცვალა მრწამსი. არც ამაშია რამე გასაკვირი. ამის შემდეგ ვმუშაობდი რიგით სპეციალისტად. მე დავიწყე რიგითი ამომრჩევლიდან, გავიარე ყველა საფეხური და 2011 წელს ვიღაცის ახირების გამო გამიშვეს სამსახურიდან. როდესაც ჩემი სამსახურის უფროსმა დასვა კითხვა თუ რა მიზეზით უნდა გავეშვი სამსახურიდან, უთხრეს, რომ ჩემთვის ჩაედოთ რამე, მაშინ, როდესაც სიგარეტსაც არ ვეწევი 15 წელიწადია. წავედი, გავეცალე იქაურობას. ისეთი რამ თქვით, რომ ხელის ჩასაჭიდი გქონდეთ. იცით, რომ არ ვარ აგრესიული და ნუ იზამთ ისეთ რამეს, რომ ადამიანი ჩააყენოთ თავის მართლების რეჟიმში. მადლობა ყურადღებისთვის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **რ.ქვაჩაკიძე:** „შეურაცხყოფები თქვენი მხრიდან წამოვიდა. სამწუხაროდ, დღეს არ არის აქ ის ქალბატონი, ვინც ამას ადასტურებს და შემდეგ გეტყვით როდის და სად იყავით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გ.ბასილაძე:** „ისეთი სიტყვა დატოვეთ, მაინც დაუტოვეთ ხალხს ეჭვი, როცა იქნებოდა ის ქალბატონი მაშინ გესაუბრათ. „ქართული ოცნების“ პარტიის შეურაცხყოფას არავის გაპატიებთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პატარა რეპლიკა მინდა გავაკეთო არჩევნებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე. საქართველო

მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც თქვენი მოსვლის შემდეგ საარჩევნო კოდექსიდან ჩანაწერი ამოიღო პარლამენტმა: „ყუთში ამოსული ბიულეტენების რაოდენობა ნაკლები ან ტოლი უნდა ყოფილიყო ხელმოწერების რაოდენობის“. ამის და გაყალბების ხარჯზე იგებთ არჩევნებს. გაყალბების შედეგად 115% და 120% დასვით და ჩვენ ვართ გამყალბებლები?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მომავალ არჩევნებზე, პირველად საქართველოს ისტორიაში, ხმის მიცემა ჩატარდება ელექტრონული ფორმატით. მე ვფიქრობ, ამ ფორმით ჩატარებული არჩევნები წერტილს დაუსვამს რაღაც საკითხებით სპეკულირებას და მანიპულირებას.“

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს მე-10 სხდომის დღის წესრიგის პროექტს, მე-12 ნომრად დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“ - სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი ფიქრია ხაჭაპურიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერგილი+“-სათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

12. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“ -სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვალერიან სილაგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

**წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს მე-10 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია, კ.გაბუნია, კ,გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ, ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ირაკლი შენგელიამ**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**მან აქვე განმარტა:** „ჩვენ, წინა სხდომაზე მოვახდინეთ საკრებულოს რეგლამენტის ცვლილება და იგი მოვიყვანეთ შესაბამისობაში საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, საკრებულოს კომპეტენციიდან ამოღებულია საკრებულოს წევრის უფლებასილების ცნობად მიღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული ცვლილების თანახმად, საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. გამომდინარე აქედან, ცვლილება იქნა შეტანილი საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტში, კერძოდ, ამ პუნქტიდან ამოღებულ იქნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე არსებული დათქმა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციაა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკრებულოს იმ წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი, უნდა განისაზღვროს საკრებულოს ნორმატიული აქტით - საკრებულოს დადგენილებით. მთავრობის ადმინისტრაციის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საკრებულოს რეგლამენტიდან ამოღებულ იქნა მე-16 მუხლი, რომელშიც მოკლედ იყო განმარტებული აღნიშნულის თაობაზე. კიდევ ერთხელ, რომ განვმარტოთ, ეს საკითხი ეხება სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო დამატებით რესურსს, რომელიც ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ამაში შედის იგივე საწვავის ლიმიტები და ა.შ. ასევე, ეს ყველაფერი, როგორც აღვნიშნე, თავის მხრივ, უკვე ჩადებული იყო საკრებულოს რეგლამენტში, თუმცა, ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ ცალკე

წესი საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით. კარგად უნდა გაიმიჯნოს და რედაქციულად სწორად ჩამოყალიბდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაღებული ხარჯის გაცემის წესი. ვიცით, რომ საკრებულოს წევრი ვალდებულია მოქალაქეებს წარუდგინოს ანგარიში ან საჭიროებდეს მოსახლეობასთან შეხვედრას, რაც მოითხოვს კონკრეტულ ფინანსურ რესურსებს. ამიტომაც, გამჭირვალედ და ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ეს საკითხი ცალკე ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. აღნიშნულ საკითხზე, საკრებულოს აპარატის მიერ მომზადდა ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც წინასწარი ექპერტიზისათვის გაიგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში. მათ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება საკრებულოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვა.“

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.ალველაძე:** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ ვიმყოფებით შენობაში, რომელშიც გუშინ გამოქვეყნებული შედეგებით ჩაირიცხა ძალიან ბევრი ახალგაზრდა და მინდა ყველას მივულოცო. მინდა მათი მომავალი იყოს ნათელი, თავისუფალი და არასოდეს არ ჰქონდეთ მსგავსი პოლემიკა, როგორსაც დღეს აქ ჰქონდა ადგილი. იყოს ყოველთვის დაწყობილი სიტუაცია, არ ეფიქროთ, რომ ვინმე ოკუპანტია და ვინმე მტერი. ქართველები ვართ, გვიყვარდეს და პატივი ვცეთ ერთმანეთს, ეს არის მთავარი. რაც შეეხება აღნიშნულ საკითხს, ამასთან დაკავშირებით კომისიის სხდომაზეც ვისაუბრე. რა თქმა უნდა, რეგლამენტი უშუალოდ გამომდინარეობს მოქმედი კანონმდებლობიდან, თუმცა, მე პირადად მაქვს ჩემი შეხედულება საკანონმდებლო ბაზასთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩვენ ვიცით, რომ კანონში შევიდა ცვლილება, რომელიც ეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობას და ეს ცვლილება ნამდვილად მისაღებია, ვინაიდან, საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ცნობილია ხალხის მიერ და ამის ცნობად მიღება აღარ იყო საჭირო საკრებულოს პირველ სხდომაზე, ხოლო რაც შეეხება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ სამართლებრივად ეს ნორმა არის

გასასწორებელი. ხალხის მიერ არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილებას არ უნდა უწყვეტდეს რაიმე ორგანო. ალბათ, ამაზეც მივა კანონმდებელი და ჩამოყალიბდება სამართლებრივად გამართული პოზიცია. შენიშვნა რეგლამენტთან არ მაქვს, მაგრამ მაქვს შენიშვნა კანონთან მიმართებაში, რომელზეც ეს რეგლამენტია მორგებული. გამომდინარე აქედან, ამ საკითხს მე პირადად ვერ დავეთანხმები და ფრაქციის პოზიციაც ასეთია."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „საპარლამენტო ფრაქციასაც შეუძლია, თქვენ ფრაქციას ვგულისხმობ და ამ ფორმატში ალბათ, გარკვეული პასუხისმგებლობით იმუშავებს. ჩვენგანაც თუ რამ შეიძლება, მზად ვართ."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 8 წევრი: ქალბატონები: ხ.არველაძე და ნ.ბიბილეიშვილი, ბატონები: თ.მესხი, რ.ქვაჩაკიძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე. კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა:1-მა წევრმა, ბატონმა კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **დადგენილება N42** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თ.მესხმა, ფრაქციის სახელით, დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, ითხოვა 10 წუთიანი შესვენება.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** გამოაცხადა შესვენება 10 წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, საკრებულოს სხდომამ მუშაობა გააგრძელა.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში, N4 დანართის შესახებ არსებული ჩანაწერი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი N4 დანართთან და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხა“; დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში მიეთითა დადგენილების ამოქმედების დრო. გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 31 აგვისტოდან.“; დადგენილების პროექტის N2 და N4 დანართები გაიმართა რედაქციულად; დადგენილების პროექტის N1 დანართის ცხრილის მე-2 პუნქტის მე-5 გრაფაში (თანამდებობრივი სარგოს ოდენობა ლარებში) „გ“ ქვეპუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტისა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტში რიცხვი: „1100“, შეიცვალა რიცხვით: „1320“; „ზ“ ქვეპუნქტის „ზ.გ“ ქვეპუნქტში, რიცხვი: „990“, შეიცვალა რიცხვით: „1210“; მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.დ“ ქვეპუნქტის მე-4 გრაფაში 2 საშტატო ერთეული წარმოდგენილ იქნა ცალ-ცალკე თითო ერთეულად და მათ გასწვრივ, მე-5 გრაფაში 1 ერთეული განისაზღვრა 990 ლარით, ხოლო, მე-2 ერთეული - 1210 ლარით; დადგენილების პროექტის N2 დანართის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში გასწორდა ერთეულების დაჯამებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა, ამასთან, ამავე პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტს, კერძოდ, „IT“ სპეციალისტის ოდენობას დაემატა 1 ერთეული და აქედან გამომდინარე, ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა: 5 ერთეული, შეიცვალა 7 ერთეულით; ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების პროექტის N2 დანართის დასაწყისში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის ამსახველი რიცხვი: „28“, შეიცვალა რიცხვით: „30“. ამავე დანართის**

**პირველ პუნქტში რიცხვი: „13“, შეიცვალა რიცხვით: „14“)**, ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ დაისვა კითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე:** „მაინტერესებს რა იყო მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციის მიზანი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „რეორგანიზაციის მიზანი იყო სტრუქტურის ოპტიმიზაცია, ეფექტური მმართველობის განხორციელება. როგორც მოგეხსენებათ, არქიტექტურა იყო კერძო სამართლის იურიდიული პირი, დღეს შემოვიდა მერიის სტრუქტურაში და ჩამოყალიბდა როგორც მერიის სამსახური, ხოლო, მის ნაცვლად კერძო სამართლის იურიდიულ პირად შეიქმნა მუნიციპალური ინსპექცია. ეს მოხდა კანონიდან გამომდინარე, ვინაიდან, იქ პირდაპირ იქნა მითითებული, რომ ნებართვის გამცემი უნდა ყოფილიყო აღმასრულებელი ორგანო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე:** „თუ მოხდა კადრების შემცირება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „დიახ, რეორგანიზაციის დროს ნამდვილად განხორციელდა შტატების შემცირება. ჩვენ ახლა ვართ რეორგანიზაციის მეორე ეტაპზე. აქ უკვე ძირითადად შემცირდა შტატგარეშე თანამშრომლები, ვინაიდან, რამდენიმე შტატგარეშე პოზიცია გარდაიქმნა შტატად და შემოვიდნენ კონკურსის წესით. მათ შორისაა მერის თანაშემწეების პოზიციები, რომლებიც იყო შტატგარეშე და მათი შტატგარეშე პოზიციები უქმდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე:** „მოხდა თუ არა ფინანსური ცვლილებები ბიუჯეტში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ჯამში ნამდვილად მოხდა თანხების დაზოგვა, მაგრამ მე არ გახლავართ ფინანსისტი და ზუსტად ვერ გეტყვით. საფინანსო სამსახურში შეგიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე**: „თქვენ თუ შეგიძლიათ ბატონო სოსო, გაგვცეთ პასუხი ფინანსებთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „თუ არ ვცდები, ოპტიმიზაციის შედეგად, შეიცვალა ორმოცამდე პოზიცია. ზუსტად რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ ეკონომია რომ გაჩნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე:** „პირობითად, სახელფასო ხარჯი გვქონდა ვთქვათ, 100 ლარი, რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის შემდეგ რა ხარჯი გვაქვს დღეს. დავაკონკრეტებ, რომ ეს იყო ქალბატონი ხათუნას შეკითხვა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **თ.მესხი:** „გვაინტერესებს, რეორგანიზაციის შედეგად, საერთო ჯამში, ხელფასების რაოდენობა შემცირდა თუ გაიზარდა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „რეორგანიზაციის შედეგად ბიუჯეტში სახელფასო ფონდში არსებული თანხები შემცირდა. რა რაოდენობით, ამას მოგახსენებთ საფინანსო სამსახური.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 10-მა წევრმა: ქალბატონებმა: ხ.არველაძემ და ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: თ.მესხმა, რ.ქვაჩაკიძემ, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N43 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N43** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 10 წევრმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, თ.მესხმა, რ.ქვაჩაკიძემ, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ, კ.გაბუნიამ, კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, **ირაკლი გიორგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ (ს/კ: 412744678) დაშლისა და ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N107** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ანგარიში წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა **ფ.ხაჭაპურიძემ.**

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ქალბატონო ფიქრია, ანგარიშში თქვენ თქვით, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარების პროგრამით ისარგებლა ერთმა ბენეფიციარმა. მცირეა ერთი ბენეფიციარის მომართვა. ალბათ, საჭირო იქნება დამატებითი კომენტარი ბატონი ირაკლისგან მოვისმინოთ, რომ მოვახდინოთ მოქალაქეების ინფორმირებულობა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.ქარქაშაძე**: „ქალაქის ადგილობრივ ბიუჯეტში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 4.0 ათასი ლარი. დახმარების მიმღები პირი ან ოჯახი, თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ რეგისტრირებული უნდა იყოს ქალაქ ქუთაისში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს ან ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაეწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით, აღნიშნულის მიზნით, საჭიროა, ბენეფიციარმა წარმოადგინოს მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და  განცხადება აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის საჭიროების შესახებ. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ალბათ, გენდერული თანასწორობის საბჭოსაც ექნება შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ, ვინაიდან, ეს ეხება გენდერულად მგრძნობიარე საკითხს.“

ზემოაღნიშნულ ანგარიშის თაობაზე, **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 8 წევრმა. ქალბატონებმა: ხ.არველაძემ და ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: თ.მესხმა, რ.ქვაჩაკიძემ, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის შვიდ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N108** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, თ.მესხი, რ.ქვაჩკიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით(მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 6-მა წევრმა: ხ.არველაძემ, ნ.ბიბილეიშვილმა, გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N 109** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის დანართში, 218-ე პუნქტის გასწვრივ, ჩაემატა მოძრავი ქონების - 14 ავტომანქანის მთლიანი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა - 110 600 ლარი, ხოლო, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალის მე-14 პუნქტში - ავტომანქანა „T0YUTA LANDCRUISER LC 150“ საფასური - 53 000 ლარი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, თ.მესხი, რ.ქვაჩკიძე, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 6-მა წევრმა, ქალბატონებმა: ხ.არველაძემ და ნ.ბიბილეიშვილმა, ბატონებმა: გ.კილაძემ, დ.ბახტაძემ, ლ.შალამბერიძემ, გ.მანაგაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალიწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N110 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N 110** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 27 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა 1-მა წევრმა, ბატონმა კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N111 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N111** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერგილი+“-სათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-8 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-8 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N112 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ნათია მიქაძის, შოთა დიდბერიძისა და და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სამედიცინო-სამკურნალო ცენტრი გერგილი+“-სათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N112** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების**

**პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-9 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N113 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაიქისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N113** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის სათაურსა და პირველ მუხლში სიტყვა: „ქონების“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „უძრავი“; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის ნომერი და თარიღი)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „აქ მექნება თხოვნა ქონების სამსახურთან, რომ თანამშრომლობის ფორმატში უფრო მეტად იყვნენ აქტიურები. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ უშუალოდ მოქალაქეები გვიკავშირდებიან მაჟორიტარ დეპუტატებს და ტელე ოპერირების პერიოდში ძალიან ბევრი ხარვეზები ვლინდება. როდესაც ვაძლევთ უფლებას მუნიციპალურ ქონებებზე, განათავსონ თავიანთი ქონება და გააუმჯობესონ ოპერირება ჩვენც გვექნება სურვილი, რომ გაითვალისწინონ მოქალაქეების მოთხოვნები.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-10 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-10 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N 114 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ **განკარგულება N114** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის დასაწყისში ჩაემატა სიტყვები: „წლიური საიჯარო“. გამომდინარე აქედან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. ქონებით სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (29.06.2022 წელი, №004352722) მიხედვით, რომელიც შეადგენს 20 500.0 (ოცი ათას ხუთასი) ლარს.“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-11 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-11 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N115 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტელე-რადიო კომპანია რიონისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ **განკარგულება N115** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“ - სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 31 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა მერის წერილის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველი მუხლი გაიმართა რედაქციულად; გასწორდა განკარგულების პროექტის მუხლების ნუმერაცია.),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვ.სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **დ.ბახტაძე:** „ეს საკითხი როგორც მახსოვს არ განხილულა შესაბამის კომისიაზე. ჯერ განვიხილოთ კომისიის სხდომაზე და შემდეგ გავიტანოთ საკრებულოს სხდომაზე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „სწორად გახსოვთ, ბიუროს გადაწყვეტილებით დაემატა ეს საკითხი. თუ გაგაჩნიათ კითხვები, შეგიძლიათ დასვათ სხდომის მიმდინარეობის დროს. დღის წესრიგში საკითხი შეტანილია ბიუროს გადაწყვეტილებით, შეგეძლოთ დღის წესრიგის კენჭის ყრის დროს დაგეყენებინათ ეს საკითხი და შესაბამისად, ჩვენი მხრიდან ამას მოჰყვებოდა მსჯელობა. ვინაიდან, დღის წესრიგი დამტკიცებულია, წინადადებას საკითხის ამოღებასთან დაკავშირებით ვერ დავაყენებთ. საკითხი დადგება კენჭის ყრაზე და გადაწყდება საკითხის დამტკიცება ან არ დამტკიცება.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მე-12 საკითხთან  დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.შუშანია, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ქ.ხურციძე, დ.ფხაკაძე, კ.გაბუნია, ე.არჩაია.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 19 წევრი, წინააღმდეგი: 8 წევრი: ქალბატონები: ხ.არველაძე და ნ.ბიბილეიშვილი, ბატონები: თ.მესხი, რ.ქვაჩაკიძე, გ.კილაძე, დ.ბახტაძე, ლ.შალამბერიძე, გ.მანაგაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა კ.გურულმა),  **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-12 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, **ვალერი სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 აგვისტოს **N116 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნო ნე 2022“ -სათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ **განკარგულება N116** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრების, მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების შემდეგ, საკრებულოს მე-9 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-10 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166 , givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 12:00:30 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის,ნ.გუგავასა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.